

შპს ანტე

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ლარში

შპს „ანტე“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს ანტე
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


სარჩევი

სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
4. შემოსავალი	7
5. მიწოდების და მომსახურების ხარჯები	7
6. ძირითადი საშუალებები	8
7. მარაგები	8
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	9
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9
11. სესხები	9
12. დაკავშირებული მხარეები	10
13. პერიოდის შემდგომი მოვლენები	10

შპს ანტე
მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ლარში

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი	4	1,094,688	1,127,037
თვითღირებულება რეალიზებული პროდუქციის		(684,775)	(589,617)
საერთო მოგება		409,913	537,420
მიწოდების, მომსახურების ხარჯების და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(523,355)	(579,905)
საოპერაციო მოგება		(113,442)	(42,485)
ზარალი		(113,442)	(42,485)
მოგების გადასახადი		-	(150)
წმინდა მოგება/ზარალი		(113,442)	(42,635)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 28 სექტემბერს.


დირექტორი
მაია ჯიმბელაშვილი

შპს ანტე
მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრელვადიანი აქტივები	6	1,542,800	1,614,982
სულ გრელვადიანი აქტივი		1,542,800	1,614,982
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	295,717	462,093
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	39,084	160,950
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	14,829	246,456
სულ მიმდინარე აქტივები		349,630	869,499
სულ აქტივები		1,892,430	2,484,481
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		-	-
სულ კაპიტალი		284,121	374,776
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	14,652	28,891
საგადასახადო ვალდებულებები		-	20,484
სესხები	11	1,593,657	2,060,330
მიმდინარე ვალდებულებები		1,608,309	2,109,705
სულ ვალდებულებები		1,608,309	2,109,705
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,892,430	2,484,481

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი
მაია ჯიმშელეიშვილი

შპს ანტე

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს ანტე (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2006 წლის 19 აპრილს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205145582.

ძირითადი საქმიანობა. შპს ანტე-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა დეკორატიული და საოჯახო ნივთებით, სანათებით, ავეჯით.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, მცხეთის ქ.#1.

კომპანიის მეწილეები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან: ჯიმშელიშვილი მაია - 40%, ქელბაქიანი გიორგი - 30%, ქელბაქიანი შალვა - 30%.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) საფუძველზე. 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად პირველად მოხდა მსს ფასს-ის გამოყენება. აღნიშნულ სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. ეს ვერსია გამოყენებულია 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და შემდგომ პერიოდებში - მსს ფასს საანგარიშო პერიოდის ბოლომდე.

მსს ფასს-ის ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს კომპანიას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, გამომდინარე იქიდან, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ლარში.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი.

ფუნქციონირებადი საწარმოს დამჯება

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს ანტე-ს მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები, რომელიც განხორციელებულია საქონლის იმპორტისთვის.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან საქონლის მიყიდვის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები.

ძირითადი საშუალებები.

- აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით.
- შემდგომი დანახარჯები. შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- ცვეთა. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კოეფიციენტებია:

ჯგუფი	ცვეთის კოეფიციენტები
უძრავი ქონება - მაღაზიის ფართი	5%
ოფისის აღჭურვილობა	20%

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს. სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოჩატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები - ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგვებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

შპს ანტე
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ლარში

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

4 შემოსავლები

	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	786,600	847,763
შემოსავალი იჯარიდან	5,085	4,973
საკურსო სხვაობა	293,792	279,709
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	9,211	3,706
ჯამი	1094688	1,136,151

5 მიწოდების, მომსახურების და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
რეკლამის ხარჯი	5,721	17,924
დაცვა-სიგნალიზაციის ხარჯი	915	915
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	11,881	10,415
ბანკის მომსახურების ხარჯი	23,165	20,059
ხელფასი	229,606	279,284
საპენსიო ხარჯი	3,672	6,238
ცვეთის ხარჯი	80,402	83,974
საგადასახადო ხარჯი	-	16,563
სესხზე დარიცხული პროცენტის ხარჯი	118,871	126,859
სხვა ხარჯი	49122.57	17,674
ჯამი	523,355	579,906

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ლარში

6 ძირითადი საშუალებები

	მალაზიის დარბაზი	ოფისის აღჭურვილობა	სულ
თვითღირებულება			
ნაშთი 1 იანვარი 2021	1,825,372	52,298	1,877,670
დამატება 2021	-	1,033	1,033
ჩამოწერა 2021	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	1,825,372	53,331	1,878,703
დამატება 2022	-	8,113	
ჩამოწერა 2022	-	280	
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	1,825,372	61,164	1,886,536
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2021	163,458	16,272	179,730
წლის დარიცხვა 2021	78,906	5,085	83,991
წლის შემცირება 2021 დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2021	242,364	21,357	263,721
წლის დარიცხვა 2022	74,961	5,440	80,401
წლის შემცირება 2022 დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2022	317,325	26,411	343,736
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2021	1,583,008	31,974	1,614,982
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2022	1,508,047	34,753	1,542,800

7 მარაგი

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მარაგი	272656	461,640
სხვა	274	453
სულ	272930	462,092

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	36784	147,899
გაცემული ავანსები და სესხები	2300	13,051
სულ	39084	160,950

შპს ანტე

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში

9 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნაღდი ფული	5640	51,214
ფული ბანკში	9189	113,074
სულ	14829	246,456

10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო ვალდებულებები	14652	19,053
იჯარა		
სხვა ვალდებულებები	-	9,838
სულ	14652	28,891

11 სესხები

სესხი ბანკიდან

	დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მსესხებელი		
სს პროკრედიტ ბანკი	1,345,789	1,766,263
	1,345,789	1,766,263

სესხი მესაკუთრეებისგან

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მსესხებელი		
მაია ჯიმშელიშვილი	-	260,114
შალვა ქებაქიანი	21,222	80,347
გიორგი ქელბაქიანი	226,646	79,906
	247,868	294,067
სულ სესხი:	1,593,657	2,060,330

შპს ანტე

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში

კომპანიის განვითარებისთვის 2019წ მარტის თვეში შეძენილი იქნა კომერციული ფართი მაღაზიისთვის, რისთვისაც აღებული იყო კრედიტი სს პროკრედიტ ბანკიდან და ასევე განხორციელდა დამფუძნებლების მიერ თანხის შენატანი როგორც სესხის სახით, ასევე თანხის შენატანით - საწესდებო კაპიტალის გაზრდა.

12. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის მიერ 2020 წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეზე, კერძოდ, დირექტორზე გადახდილმა ხელფასმა შეადგინა 46716 ლარი.

13. პერიოდის შემდგომი მოვლენები

ჯერ კოვიდ-19 ის პანდემია, შემდგომ უკრაინაში ომმა, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკაზე და რის შედეგადაც, ბიზნესის ყველა დარგი გამოწვევების წინაშე დადგა. ამ ვითარებამ უარყოფითად იმოქმედა ჩვენს კომპანიაზეც. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ცდილობდა სარეკლამო და მარკეტინგული ღონისძიებებით მყიდველების მოზიდვას, შემოსავლებმა საკმაოდ დაიკლო.